საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: თ. ხ.; ლ. ხ.

საჩივრის ავტორების წარმომადგენელი: ნ. ზ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის №008/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ს.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. და ლ. ხ.-ებს და მოითხოვეს ადვოკატ ლ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორებმა, წარმომადგენელთან, ნ. ზ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღეს 2020 წლის 28 თებერვალს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 თ. და ლ. ხ.-ები არიან ცოლ-ქმარი. მათი განმარტებით, სს „ს. ბ.-მ“ სარჩელი შეიტანა ა. ხ.-ს მიმართ, რომელიც გარდაიცვალა 2015 წელს. ბანკის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვა უნდა მომხდარიყო ა. ხ.-ს ძმის თ. ხ.-ს და დის - მ. ბ.-ს საერთო ქონებიდან. მას შემდეგ, რაც სს „ს. ბ.-მ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ხ.-ს და მ. ბ.-ს მიმართ, ლ. ხ.-ს დაუკავშირდა მ. ბ.-ს ადვოკატი ლ. ს.. ადვოკატმა უთხრა, რომ და-ძმის პოზიცია ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა და უნდა შეეტანათ დაზუსტებული შესაგებელი. ადვოკატმა მის მიერ შედგენილი შესაგებელი

გაუგზავნა საჩივრის ავტორებს მ. ბ.-ს ხელმოწერით, რომელიც ლ. ხ.მ წარადგინა სასამართლოში. მხარეების მიზანი იყო საქმის მორიგებით დასრულება, რაზეც „ს. ბ" თავდაპირველად თანახმა იყო. მოგვიანებით, ადვოკატ ლ. ს.-ს მოქმედებებმა გამოიწვია „ს. ბ.-ს" და მოპასუხე მხარეებს შორის ურთიერთობის დაძაბვა. კერძოდ, ადვოკატმა საჩივრით მიმართა ს. ბ.-ს გენერალურ დირექტორს ს. ბ.-ს იურისტის მიმართ, რომ ის არ ასრულებდა თავის მოვალეობას და გაჭიანურდა გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი. აღნიშნულის გამო, ბანკი აღარ იყო თანახმა მორიგებაზე და მათ მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების მიზნით. ასევე, ადვოკატმა ლ. ს.-მ მიმართა ზესტაფონის პოლიციის განყოფილებას თ. ხ.-ს მიმართ - დაზუსტებულ შესაგებელზე მ. ბ.-ს ხელმოწერის გაყალბების საფუძვლით, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. განცხადების წარდგენის მიზანი იყო თ. ხ.-ს მფლობელობაში მყოფი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია და მ. ბ.-ს მიერ ქონების შესყიდვა. ადვოკატმა ლ. ს.-მ კიდევ ერთი საჩივრით მიმართა პოლიციის განყოფილებას თ. და ლ. ხ.-ების შვილის მიმართ, უძრავი ქონებიდან მაცივრების გატანის საფუძვლით, რომელსაც არ მოჰყვა რეაგირება, თუმცა ადვოკატის მიზანი იყო თ. და ლ. ხ.-ების დაშანტაჟება.

1.3 ლ. და თ. ხ.-ები განმარტავენ, რომ ლ. ს. არ სთავაზობს კლიენტს დავის ალტერნატიული გზებით ან სასამართლოს მეშვეობით დავის გადაწყვეტას, ადვოკატი არ აძლევს სწორ სამართლებრივ რჩევებს კლიენტს და მისი მხრიდან ადგილი აქვს პროვოკაციებს. საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ადვოკატ ლ. ს.-ს არ აქვს სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, ის არის სისხლის სამართლისა სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, რის გამოც არ აქვს უფლება წარმოადგინოს მ. ბ.-ს ინტერესები სამოქალაქო დავაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 27 იანვარს ადვოკატმა ლ. ს.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორთა პრეტენზიებს და საჩივრის შინაარსიდან არ იკვეთება მის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით იცავს კლიენტს - მ. ბ.-ს და თ. და ლ. ხ.-ს ამხელს სიცრუეში. სწორედ აღნიშნული გახდა ადვოკატის მიმართ საჩივრის შემოტანის საფუძველი. ლ. ს. ასევე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორები უსამართლოდ მოექცნენ ა. ხ.-ს, ამჟამად კი ცდილობენ მ. ბ.-ს და მისი ადვოკატის შევიწროებას, რადგან ხელი არ შეეშალოთ დასახული მიზნების მიღწევაში. კერძოდ, საჩივრის ავტორმა თ. ხ.-მ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მიმართა მ. ბ.-ს მიმართ უძრავი ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, მასზე მესაკუთრედ ცნობის, ზიანის ანაზღაურებისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი.

3.2 თ. და ლ. ხ.-ებს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 20 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ს.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგია გაეცნო საჩივრის ავტორების მიერ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოუსმინა საჩივრის ავტორების ახნა-განმარტებას და იმსჯელა ადვოკატ ლ. ს.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: *„საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება".*

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი: *„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით".*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: *„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს".*

5.2 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო კანონიერი საშუალებით და არ უნდა გადაუხვიოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუნდაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ამასთანავე, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

5.3 „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რათა მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №057/10/).

5.4 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სამოქალაქო საქმეში, რომელიც დაწყებულია თ. ხ.-ს სარჩელის საფუძველზე, ადვოკატი ლ. ს. წარმოადგენს თ. ხ.-ს მოპასუხე მხარის - მ. ბ.-ს ინტერესებს, ხოლო დავაში სადაც მოსარჩელე მხარეა სს „ს. ბ“, ხოლო თ. ხ. და მ. ბ. წარმოადგენენ მოპასუხე მხარეებს, ამ უკანასკნელის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ლ. ს.. საჩივრის ავტორთა პრეტენზიები ეხება ადვოკატ ლ. ს.-ს მოქმედებებს, რომელსაც ის ახორციელებს მ. ბ.-ს დაცვის პროცესში. აღნიშნული პრეტენზიები გამოიხატება შემდეგში: 1. ადვოკატმა ლ. ს.-მ მიმართა სს „ს. ს.“ ბანკს საჩივრით, რის გამოც ვერ განხორციელდა მორიგების პროცესი ბანკსა და მოპასუხე მხარეებს შორის; 2. ადვოკატმა ლ. ს.-მ მიმართა ზესტაფონის პოლიციის განყოფილებას ლ. ხ.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელზე ხელმოწერის გაყალბების საფუძვლით; 3. ადვოკატმა ლ. ს.-მ პოლიციის განყოფილებას მიმართა საჩივრის ავტორების შვილის წინააღმდეგ, თუმცა საჩივარს არ მოჰყვა ადვოკატისთვის სასურველი შედეგი.

5.5 საქმეში წარმოდგენილია ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც საჩივრის ავტორები სადავოდ მიიჩნევენ. კერძოდ: საქმეში წარმოდგენილია მ. ბ.-ს განცხადება ზესტაფონის რაიონული პოლიციის სამმართველოს მიმართ, რომელშიც ის ეჭქვეშ აყენებს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელზე განხორციელებული ხელმოწერის ნამდვილობას; ასევე, წარმოდგენილია ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსის მიმართ მ. ბ.-ს მიერ შედგენილი განცხადება, სადაც ის მიუთითებს უძრავი ქონებიდან მაცივრების გატანის ფაქტზე, და წარმოდგენილია ადვოკატ ლ. ს.-ს მიერ შედგენილი საჩივარი სს „ს. ს.-ს“ გენერალური დირექტორის მიმართ. მოცემული სამი განცხადების ავტორიდან, მხოლოდ სს „ს. ს.-ს“ მიმართ გაგზავნილი საჩივრის ავტორია ადვოკატი ლ. ს. და მას ეს საჩივარი შედგენილი აქვს, როგორც მ. ბ.-ს წარმომადგენელს. დანარჩენი ორი განცხადების ავტორი და მათზე ხელმომწერია მ. ბ.. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას უფლება აქვს ადვოკატის ქცევა შეაფასოს სს „ს. ს.-ს“ გენერალური დირექტორის მიმართ შედგენილი საჩივრის წარდგენის ფარგლებში და განიხილოს, აღნიშნული ქცევა იყო თუ არა კანონსაწინააღმდეგო, რის გამოც შესაძლებელია მის ქმედებებში იკვეთებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის კომისია ვერ განიხილავს განცხადების შინაარსს და ადვოკატის სტრატეგიას, ვინაიდან ადვოკატი არის დამოუკიდებელი პროფესიის მქონე პირი, რომელიც კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას და საქმეზე განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს.

5.6 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - მ. ბ.-ს ინტერესების დაცვა. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე პრეტენზია არ განუცხადებია მის მარწმუნებელს, შესაბამისად ადვოკატ ლ. ს.-ს მიერ განხორციელებული ქმედებები შეთანხმებული იყო კლიენთან. ამასთანავე, საჩივრის წარდგენით ადვოკატი მოქმედებდა მისთვის მინიჭებული

უფლებამოსილების ფარგლებში, რის გამოც მისი მოქმედება წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კანონიერების პრინციპთან.

5.7 საპროცესო კოლეგია ვერ განიხილავს საჩივრის ავტორთა პრეტენზიებს ადვოკატ ლ. ს.-ს მიერ კლიენტისთვის არასწორი სამართლებრივი რჩევების მიცემისა და სამოქალაქო საქმეში წარმომადგენლობის განხორციელების ნაწილში, ვინაიდან „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-6 მუხლის 1(ა) პუნქტის მიხედვით, ეთიკის კომისიისთვის მიმართვის უფლება აქვს პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. ადვოკატ ლ. ს.-ს მიმართ მის კლიენტს - მ. ბ.-ს პრეტენზია არ აქვს. შესაბამისად, თ. და ლ. ხ.-ები ვერ ჩაითვლებიან უფლებამოსილ განმცხადებლებად მითითებული პრეტენზიების ნაწილში.

5.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ს.-ს ქმედებაში არ დასტურდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე–6 მუხლის პირველი პუნქტითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, რის გამოც ადვოკატ ლ. ს.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №008/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ. ს.-ს მიმართ /სიითი №/.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/